აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №73

31 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 71-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საერთაშორისო ორგანიზაცია **„european union“** DELEGATION OF THE EUROPEAN COMMISSION TO GEORGIA - ევროკავშირის (ევროპის კომისიის დელეგაცია საქართველოში) და მიენიჭოს საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე